ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7182441

ნომერი: AR11052311

თარიღი : 09.08.2024

გაცემის თარიღი : 15.08.2024

გაცნობის თარიღი : 15.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით სარაჯიშვილის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე ხოფერია პ/ნ 01017042813
- თბილისი ა.ფურცელაძის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 ოქტომბრის №6736323 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 09 აგვისტოს №AR11052311 განცხადებით მომართა სალომე ხოფერიას და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 31

ოქტომბრის №6736323 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 31 ოქტომბრის №6736323 ბრძანებით №01.11.04.023.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 31 ოქტომბრიდან 2025 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის სამსახურის 2023 წლის 31 ოქტომბრის №6736323 ბრძანებით შეთანმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორად დაფიქსირდა სარდაფის ფართობი 159.37 კვ.მ და ითხოვს აღნიშნული ფართობი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფისირდეს სასაწყობე ფართობად.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 31 ოქტომბრის №6736323 ბრძანებით -3.00 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებულია სასაწყობე ფართი (159.37 კვ.მ). ხოლო, ამავე ბრძანებით სარდაფის ფართი საპროექტო დოკუმენტაციით არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ტექნიკური შეცდომის შედეგად ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორად დაფიქსირდა სარდაფის ფართი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 ოქტომბრის №6736323 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 ოქტომბრის №6736323 ბრძანებაში და:
1.1 ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში სასაწყობე ფართობად დაფიქსირდეს 159.37 კვ.მ.
1.2 ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნეს სარდაფის ფართი 159.37 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 ოქტომბრის №6736323 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 31 ოქტომბრის №6736323 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.